წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 15

ქ. წალკა; 20.06.2024 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:20 საათზე;

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის #21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 აპრილის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

3. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების და ფრაქციების დასკვნები მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშზე.

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის #21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად დაიწყოს დადგენილების პროექტის განხილვის პროცედურები დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და ფრაქციებს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 28 ივნისს საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომისთვის წარმოადგნონ შესაბამისი დასკვნები;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 აპრილის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. რის შემდეგაც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრმა ჯემალ ბერიძემ ბიუროს გააცნო აღნიშნული კომისიის დასკვნა. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 აპრილის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეტანილ იქნეს საკრებულოს მ/წლის 28 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში

3. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების და ფრაქციების დასკვნები მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშზე. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში შეტანილ იქნეს საკრებულოს მ/წლის 28 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*